



#2 (34), თებერვალი, 2010

### იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

#### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

#### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)

ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყველათვიურ ელექტრონულ  
გამოცემას ამზადებს  
სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

### სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

**12 თებერვალს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“  
გაიმართა სოციალურ საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა  
კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოება.  
ღონისძიებას ესწრებოდნენ მედიის, საერთაშორისო და  
ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების  
წარმომადგენლები**



საუკეთესო ფოტო ნამუშევარი, პირველი პრემია – ავტორი მარიკა ქობიაშვილი

### „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – 2009

„ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – ასე ჰქვია კონკურსს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, სოციალური საკითხების ფართოდ და ღრმად გაშუქების მიზნით, სოციალურ საკითხებზე მომზადებული საუკეთესო საგაზეთო სტატიის, საუკეთესო ფოტო ნამუშევრის, საუკეთესო სატელევიზიო და რადიო სიუჟეტების გამოსავლენად დააფუძნა. შესაბამისად, კონკურსი ამ ოთხ ნომინაციაში გამარჯვებულის გამოვლენასა და მათ დაჯილდოებას ისახავდა მიზნად.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

## „ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – 2009



### (გაგრძელება)

შემოვიდა 60-მდე ავტორის საკონკურსო სტატია, ფოტო, რადიო და ტელე სიუჟეტები. შემოსული საკონკურსო მასალები შეაფასეს ჟიურის წევრებმა. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ – ვაჟა სალამაძე, ზვიად ქორიძე. დავით პაიჭაძე, გურამ წიბახაშვილი, ლიკა ჩახუნაშვილი, სოსო სიმონიშვილი.



ჟიურის წევრებმა კონკურსის გამარჯვებულები დასკვნით ღონისძიებაზე, 12 თებერვალს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ დაასახელეს.

### ნომინაცია საუკეთესო სტატია

პირველი პრემია გადაეცა ორ ავტორს: **ნათია გულიაშვილს** (სტატიისთვის „ფსიქიატრიული რეზერვაციები“, გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიბერალში“) და **ეკა ჭითანავას** (სტატიისთვის „გვამური ტრანსპლანტაცია“, გამოქვეყნდა ჟურნალ „ლიბერალში“). გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო (საპრიზო ფულადი ჯილდო ორ ნაწილად გაიყო და გადაეცათ 500-500 ლარი) და დიპლომები.



ჟიურის გადაწყვეტილებით არ გაიცა მეორე პრემია. ხოლო **წამახალისებელი პრემია** გადაეცა სამ ავტორს: **შორენა დლონტს** (სტატიისთვის – „დედა-შვილს ძაღლის ჭენებით ნაშოვნნი ფულით გაჰქონდათ თავი“, გამოქვეყნდა გაზეთ „გურია ნიუსში“), **ოლიგო ცისკარიშვილს** (სტატიისთვის – „როგორ ხედავენ უსინათლოები გაზაფხულზე პეპელას“, გამოქვეყნდა ვებ-გვერდზე – [www.fact.ge](http://www.fact.ge)), **ჯაბა ანანიძეს** (სტატიისთვის – „ჭუჭრუტანებიდან დანახული ჩირუხი“, გამოქვეყნდა გაზეთ „კვირის პალიტრაში“). გამარჯვებულებს გადაეცათ



ფულადი ჯილდო (300-300 ლარი) და დიპლომები.

### საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი

პირველი პრემია გადაეცა **გიორგი გვიშიანს** (სიუჟეტისთვის – „ნატალია“, გადაიღა „კურიერი P.S.“). გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო (1000 ლარი) და დიპლომი. **მეორე პრემია** გადაეცა **სოფიო ოჩხიკიძე** (სიუჟეტისთვის – „ხევსურეთი“, გადაიღა გადაცემა „პროფილში“). გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო (500 ლარი) და დიპლომი.

**წამახალისებელი პრემია** გადაეცა **ნინო კახიშვილს** (სიუჟეტისთვის – „წითელი ლაზადა“) გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო (300 ლარი) და დიპლომი, ასევე წამახალისებელი პრემია გადაეცათ **რუსუდან ფანოზიშვილს და თამარ ფარადაშვილს** ერთობლივი ნამუშევრისთვის (სიუჟეტისთვის – „ბოლო შუშა ლამპისთვის“). გამარჯვებულებს გადაეცათ ფულადი ჯილდო (300 ლარი) და დიპლომები.

### საუკეთესო რადიო სიუჟეტი

ჟიურის გადაწყვეტილებით წელს არ გაიცა პირველი პრემია, **მეორე პრემია** გადაეცა **ეკა ქვენიანიშვილს** (რადიოსიუჟეტისთვის – „თუ ბავშვი ცუდად იქცევა“, გადაიღა რადიო „თავისუფლებაზე“). გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო (500 ლარი) და დიპლომი.

### საუკეთესო ფოტონამუშევარი

პირველი პრემია გადაეცა **მარიკა ქოჩიაშვილს** (ფოტონამუშევრისთვის – „პორტრეტი“). გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო (1000 ლარი) და დიპლომი. **მეორე პრემია** გადაეცა **მარიკა ამურველაშვილს** (ფოტონამუშევრისთვის „დუხაბორე ბი მიდიან“). გამარჯვებულს

„ვიზრუნოთ ერთმანეთზე“ – 2009



საუკეთესო ფოტო ნამუშევარი, მეორე პრემია – ავტორი მარია ამბრველაშვილი (გაგრძელება)

გადაეცა ფულადი ჯილდო (500 ლარი) და დიპლომი.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის სპეციალური პრემია

სპეციალური პრემია გადაეცა სოფიო თოდუას (სტატიისთვის – „როდესაც ასე ახლოა გრემი“, გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“). გამარჯვებულს გადაეცა ფულადი ჯილდო (500 ლარი) და დიპლომი.

საკონკურსო განაცხადი

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ხელახალ ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაციის/რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტია: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 23 თებერვალი, 2010

<http://www.24saati.ge>

<http://www.civilin.org/welfare>

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. შესყიდვის ობიექტია: ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფა.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 23 თებერვალი, 2010

<http://www.24saati.ge>

<http://www.civilin.org/welfare>

•  
თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა:

[welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას

ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

## 2010 წლის პროგრამა – „ბავშვზე ზრუნვა“

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით 2009 წლის 30 დეკემბერს დამტკიცდა პროგრამა „**ბავშვზე ზრუნვა**“, რომლის მიზანია ქვეყანაში მზრუნველობამოკლებული, სოციალურად დაუცველი, ძალადობის მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მიუსაფარი, ასევე, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და რთული ქცევის ბავშვთა სრულყოფილი განვითარებისათვის ხელშემწყობი ოჯახური გარემოს შექმნა და სოციალური დაცვა.

პროგრამის ამოცანებს წარმოადგენს ერთის მხრივ, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვთა სრულყოფილი განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა, ხოლო მეორეს მხრივ, აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვთა რაოდენობის ეტაპობრივად შემცირება, მათი ოჯახურ გარემოში დაბრუნების ან/და ალტერნატიული პროგრამების განხორციელების გზით.

პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი ოდენობა განისაზღვრა **9 239 600** ლარით.

პროგრამის განხორციელებით ხელი შეიწყობა მზრუნველობამოკლებული, სოციალურად დაუცველი, მიუსაფარი, ძალადობის მსხვერპლი, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების, რთული ქცევისა და შშმ ბავშვთა განვითარებას, რეაბილიტაციას, ცხოვრებისეული, პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ამ კატეგორიის ბავშვთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზადებას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ფინანსური უზრუნველყოფის, ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის, „ჩვენი სახლის“ და აგრეთვე დღის ცენტრების ქვეპროგრამებს ახორციელებს **სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“**.

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის, ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღების, დღის ცენტრების, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის, ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღების, ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამებს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობაში შემავალი **სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო“**.

ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებათა ხელშეწყობის ქვეპროგრამას განახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება**.

პროგრამის მონიტორინგის ქვეპროგრამას განახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის

### პროგრამა „ბავშვზე ზრუნვა“ მოიცავს 11 ქვეპროგრამას შემდეგი თანხებით:

1	მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დეინსტიტუციონალიზაციის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ფინანსური უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	5 042 635
2	ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა	57 500
3	ქვეპროგრამა „ჩვენი სახლი“	584 075
4	დღის ცენტრების ქვეპროგრამა	451 000
5	მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	258 120
6	ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღების ქვეპროგრამა	41 270
7	ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა	87 600
8	ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის ქვეპროგრამა	108 000
9	განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა	2 423 000
10	ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა	171 400
11	პროგრამის მონიტორინგის ქვეპროგრამა	15 000

**(გაგრძელება)**

**დეპარტამენტი და ადმინისტრაციული დეპარტამენტი.**

**1. ზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და დენისტიტუციონალიზაციის, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად ფინანსური უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**

დღეისათვის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, კვლავ ბევრი ბავშვი ხვდება ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში, რითაც მათ ერთმევათ შესაძლებლობა აღიზარდონ ოჯახურ გარემოში, სააღმზრდელო დაწესებულებები კი ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის სრულყოფილ ფიზიკურ, გონებრივ და ფსიქოლოგიურ განვითარებას. ამ ქვეპროგრამის ამოცანაა ბავშვთა რაოდენობების მინიმუმამდე დაყვანა სააღმზრდელო დაწესებულებებში, არაფულადი პრევენციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით, ასევე მზრუნველობამოკლებული ბავშვების გრძელვადიანი ინსტიტუციური მზრუნველობის ჩანაცვლება ოჯახური მზრუნველობით, ან ოჯახური ტიპის ალტერნატიული მომსახურებით –მინდობით აღზრდა, აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა.

**2. ბავშვთა ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის აქტუალობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უკანასკნელ წლებში გახშირდა ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტები. ამ ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა დაცვის ისეთი რეფერალური მექანიზმის შექმნა, რომელიც მოქნილი და ეფექტური გზებით შეძლებს ძალადობის მსხვერპლი ან/და რისკის წინაშე მყოფ ბავშვებზე სწრაფ რეაგირებას და მათ უზრუნველყოფას შესაბამისი პრევენციული ღონისძიებებით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 0–18 წლამდე ძალადობის მსხვერპლი ან/და რისკის წინაშე მყოფი ბავშვები შემდეგი პილოტური ერთეულების მიხედვით: ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, ქ. თელავი და ქ. რუსთავი.

**3. ქვეპროგრამა „ჩვენი სახლი“**

ქვეპროგრამის მიზანია ოჯახური გარემოთი უზრუნველყოფის მზრუნველობამოკლებული ის ბავშვები, რომელთა ზრუნვის სხვა ალტერნატიულ ფორმაში (ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება/ცხოვრება, შვილობილობა, შვილად აყვანა) განთავსება მოცემული მომენტისათვის ვერ ხერხდება. ამ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მზრუნველობამოკლებული ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოში აღზრდა, სადაც მოხდება მათი 24 საათიანი უზრუნველყოფა საკვებით, ჰიგიენითა და სამედიცინო

მომსახურების ორგანიზებით, ასევე თვითმოვლის, ცხოვრებისეული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება და შემეცნებითი აქტივობების განხორციელება.

მცირე საოჯახო ტიპის სახლი გათვლილია მაქსიმუმ 9 ბენეფიციარზე, მათ შორის, ერთი ადგილი განკუთვნილია გადაუდებელი შემთხვევებისათვის. მცირე საოჯახო ტიპის სახლში ზრუნვას განახორციელებენ აღმზრდელები. აღმზრდელები ბენეფიციარებზე ზრუნვას განახორციელებენ 5 სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო შაბათ-კვირას დამხმარე აღმზრდელები.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ან ამ დაწესებულებებში ჩასარიცხი 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 134 ბენეფიციარს.

**4. დღის ცენტრების ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის ამოცანა იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრების მომსახურებით უზრუნველყოფაა, რომლებზეც დღის განმავლობაში (სკოლის შემდგომ პერიოდში) ოჯახები ვერ ახერხებენ ზრუნვას, რაც ხელს შეუწყობს ასეთ ოჯახებს არ განათავსონ ბავშვები სააღმზრდელო დაწესებულებებში. ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურება სხვა ღონისძიებებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს:

- ა) ყოველდღიურ მომსახურებას (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 2-ჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტო სადილი;
  - ბ) ბენეფიციართათვის ინდივიდუალური განვითარების პროგრამების შემუშავებას, თითოეულის ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით.
- ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 6-დან 18 წლამდე „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების წევრი ბავშვები, აგრეთვე, რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვები, რომელთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 410 ბენეფიციარს.

*(გაგრძელება იხ. მე-6 გვ.)*

**საკანონმდებლო სიახლეები**

2009 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“. აღნიშნული კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით 2010 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს 2007 წლის 18 დეკემბრის კანონები „შვილად აყვანის შესახებ“ და „მინდობით აღზრდის შესახებ“. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“

იხილეთ: <http://www.civilin.org/welfare>

**(გაგრძელება)**

**5. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის მიზანია 18 წლამდე ასაკის მიუსაფარი ბავშვების დროებითი, 24 საათიანი თავშესაფრით ან დღის მომსახურებით უზრუნველყოფა.

ამ ქვეპროგრამის ამოცანაა 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვებზე ე.წ. „ქუჩის ბავშვებზე“ ზრუნვა და მათი უზრუნველყოფა დროებითი საცხოვრებლით, კვებით, განათლებით, სპორტული აქტივობებით, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების სწავლებით, პირველადი სამედიცინო დახმარებით, აგრეთვე ამბულატორიული და საჭიროების შემთხვევაში სტაციონარული სამედიცინო მომსახურება.

**6. ბავშვთა დასვენება-გაჯანსაღების ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებათა აღსაზრდელების, ასევე რეინტეგრაციის შემწეობის და მინდობით აღზრდის ანაზღაურების მიმღები ოჯახების ბავშვების დასვენება-გაჯანსაღება და საზოგადოებაში დამკვიდრებისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებათა აღსაზრდელები, ასევე რეინტეგრაციის შემწეობისა და შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების მიმღები ოჯახების 9-დან 18 წლამდე ასაკის არანაკლებ 172 ბავშვი.

**7. ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის ამოცანაა ძვალ-სახსროვანი სისტემის პათოლოგიის მქონე ბავშვთა მკურნალობა, პოსტოპერაციული რეაბილიტაცია და ამის პარალელურად, სოციალური ადაპტაციისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფია 18 წლამდე ასაკის თვეში არაუმეტეს 10 ბავშვი, რომლებსაც აქვთ ძვალ-სახსროვანი სისტემის სხვადასხვა სახის პათოლოგიები.

**8. ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა ასაკის მენტალური განვითარების მსუბუქი და საშუალო ხარისხის დარღვევების ადრეული დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკა და პრევენცია.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბავშვთა ასაკის მენტალური განვითარების მსუბუქი და საშუალო ხარისხის დარღვევების მქონე 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი.

**9. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესისა, კვლავ აქტუალური რჩება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლების საკითხი, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც აკადემიური განათლების მიღების ერთადერთი საშუალებას წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით მოქმედი

პანსიონური მომსახურების მქონე საჯარო სკოლები. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე, რთული ქცევის მქონე, ასევე მათემატიკური ნიჭით გამორჩეული და ოპტიმიზირებული ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებიდან გადმოყვანილი 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად ბენეფიციარები სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილნი იქნებიან სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება მათ განვითარებაზე ზრუნვა.

**10. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ მიუხედავად, ბოლო წლებში მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთათვის განხორციელებული სხვადასხვა ტიპის ალტერნატიული მომსახურებებისა, კვლავაც არსებობენ ბავშვები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში უხდებათ ცხოვრება. სახელმწიფოს მოვალეობაა უზრუნველყოს ასეთი ბავშვების აღზრდა უსაფრთხო, დაცულ გარემოში - სააღმზრდელო დაწესებულებებში, სადაც დაკმაყოფილებულია მათი ყველა პირველადი მოთხოვნილება.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები. ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვთა (მათ შორის, ნაპოვნი ბავშვთა) ზღვრული რაოდენობები განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

**11. პროგრამის მონიტორინგის ქვეპროგრამა**

ქვეპროგრამის ამოცანაა პროგრამის თითოეული ქვეპროგრამის შესრულების მონიტორინგის განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება რეკომენდაციების გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტურობის ზრდას.

**სიახლეები**

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული წესის 10<sup>4</sup> მუხლს დაემატა „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად გადაუდებელი მინდობით აღზრდა (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის) ერთი კალენდარული დღისათვის განსაზღვრა 12,50 ლარი.